



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს
კულტურისა და ძეგლთა დაცვის
მინისტრი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N03/344

26 / ნოემბერი / 2015 წ.

ქ.თბილისი

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 30 მარტის N3/133 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

სსიპ - „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს“ 2015 წლის 21 ივლისის N05/09/1445 კორექსიონდენციის, აგრეთვე სსიპ - „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს“ 2015 წლის 3 ნოემბრის N05/09/2278 წერილისა და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 30 მარტის N3/133 ბრძანების დანართში შეტანილ იქნეს შემდეგი სახის ცვლილებები:

ა) ბრძანების დანართის რიგითი ნომერი 1300, ძეგლის დასახელება „ეკლესია“, აგების თარიღი - „გვიანი შუა საუკუნეები“ და ძეგლის მდებარეობა - „სოფ. ბორითი“ შეიცვალოს და განისაზღვროს - ძეგლის დასახელება - „საგანის წმინდა გიორგის ეკლესია“, აგების თარიღი - „მე-10 საუკუნე“ და ძეგლის მდებარეობა - „სოფ. ამაშუკეთი“ და ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართის შესაბამისად;

ბ) ბრძანების დანართის რიგითი ნომერი 3765, აგების თარიღი - „ძვ. წ.“ და ძეგლის მდებარეობა - „სოფ. ზედუბანი, მიდამოები „ვაშნარი“ შეიცვალოს და განისაზღვროს - აგების თარიღი - „ახ.წ. VI საუკუნე“ და ძეგლის მდებარეობა - „სოფ. გურიანთა - მიდამოები, „ვაშნარი““ და ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართის შესაბამისად;

2. დაევალოს კულტურული მემკვიდრეობის დეპარტამენტს ამ ბრძანების ამოქმედებიდან 1 თვის ვადაში, ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული ობიექტის მონაცემების სამინისტროს ინტერნეტ-გვერდზე ასახვა, ხოლო სსიპ - „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს“ კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების სახელმწიფო რეესტრში ცვლილებების შეტანა;

3. ბრძანება ამოქმედდეს ხელისმომწერის დღიდანვე.

ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ გაცნობიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს მთავრობაში (მისამართი: ქ. თბილისი, შავლე ინგოროყვას ქუჩა N7).

მინისტრი

მიხეილ გიორგაძე

დანართი

1300.	საგანის გიორგის ეკლესია	წმინდა მე-10 საუკუნე	სოფ. ამაშუკეთი
3765.	ქალაქი „პეტრა“	ახ.წ. VI საუკუნე	სოფ. გურიანთა - მიდამოები, „ვაშნარი“